



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2016 წლის 24 თებერვლის  
 № 1933 დადგენილებით

**მოდულიზებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2021 წლის 29 ივლისის  
 № 01-05-04/105  
 დადგენილებით

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

**პროგრამის სახელწოდება**

სასტუმრო მომსახურება

Hotel Services

**ფაკულტეტი**

ბიზნესტექნოლოგიების

Faculty of Business Technology

**პროგრამის ხელმძღვანელი**

ასოცირებული პროფესორი ნანი მამფორია

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ტურიზმის ბაკალავრი

Bachelor of Tourism

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 225 კრედიტისა და 15 კრედიტი თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

**სწავლების ენა**

ქართული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## პროგრამის აღწერა

საბაკალავრო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ შემუშავებულ იქნა მსოფლიოში წამყვანი უნივერსიტეტების (გრენობლის აკადემია, საფრანგეთი; ჟირონას უნივერსიტეტი, ესპანეთი) გამოცდილების გაზიარებით TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში და შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც იძლევა მაღალხარისხიან განათლებას სასტუმროს სფეროში აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით.

„სასტუმრო მომსახურება“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ანალოგი არ გააჩნია ქართულ ბაზარზე და იგი გახლავთ პირველი მცდელობა. პროგრამა სტუდენტებს აძლევს პროფესიისათვის საჭირო ცოდნას და ძირითად უნარებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ.

ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სპეციალობის 225 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების 15 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსებს. თითოეული სემესტრის მოიცავს - 30 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი შედგება 20 სასწავლო კვირისაგან. სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, აქედან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური დადებითი ქულა - 10 ქულა. სემესტრის განმავლობაში ტარდება ერთი შუასემესტრული გამოცდა. იგი შუალედური შეფასების აუცილებელი კომპონენტია.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტებში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

**პირველი სასწავლო წლის ხანგრძლივობაა** 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტი).

**მეორე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა** 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან ერთი სასწავლო კურსი არის თემატური პროექტით.

**მესამე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა** 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 45 კრედიტი სავალდებულოა, (მათ შორის 2 არჩევითი საგანი, სტუდენტს ეძლევა საშუალება ან გააძლიეროს მის მიერ უკვე ნასწავლი უცხოური ენა არ აირჩიოს მისთვის სასურველი მეორე ევროპული ენა, რომლის სწავლის შესაძლებლობა ეძლევა A 1.1 დონიდან. 5 დუალური საგანი, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან მათი სურვილისამებრ ქართულ ან ინგლისურ ენებზე და ორი სასწავლო კურსი თემატური პროექტით) და 3 საგანი თავისუფალი კომპონენტებიდან 15 კრედიტის ოდენობით.

**მეოთხე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა** 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში შეისწავლის 10 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 1 არჩევითი საგანია, ერთი სასწავლო კურსი არის თემატური პროექტით და ერთი დუალური საგანი, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან მათი სურვილისამებრ ქართულ ან ინგლისურ ენებზე, ასევე სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას და შეასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს, თითოეული 10 კრედიტის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამა

ECTS კრედიტი

სავალდებულო სასწავლო კურსები

190

არჩევითი სასწავლო კურსები	15
თავისუფალი კომპონენტები	15
პრაქტიკა	10
საბაკალავრო ნაშრომი	10

**პროგრამის მიზანი**

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სასტუმრო ინდუსტრიის ბაზრისთვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დაბალი და საშუალო მენეჯერული პოზიციებისთვის შემდეგი მიმართულებით:

- მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის განხორციელება სასტუმრო ინდუსტრიაში;
- სასტუმრო საქმის მართვა და ოპერირება;
- სასტუმრო ინდუსტრიის კვლევა და პროგნოზირება;
- სასტუმროს თანამედროვე საინფორმაციო, ელექტრონული და საოპერაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენება.

**სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)**

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- სასტუმრო მეურნეობის სფეროში არსებული ძირითადი ცნებები, თეორიები და განმარტებები;
- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული ძირითადი მიმართულებები;
- ტურისტულ სფეროში არსებული სამართლებრივი საკითხები;
- ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული უსაფრთხოების საკითხები;
- პროფესიულ დონეზე იცი სასტუმროს მომსახურების სფეროსთვის აუცილებელი სერვისების განხორციელების (დაჯავშნა, განთავსება, კვება, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების უსაფრთხოება) მეთოდები.

გააცნობიერებს

- აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის მნიშვნელობას;
- საფუძვლიანად ერკვევა ტურიზმის (განსაკუთრებით სასტუმროს) მართვასა და მენეჯმენტში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სტატისტიკური და მარკეტინგული გათვლების შედეგების საფუძველზე პრაქტიკაში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება;
- სასტუმრო ინდუსტრიაში შემავალი კომპონენტების: განთავსების სექტორი ს სერვისის სექტორის, ტრანსპორტირების სექტორი ს, გართობის ინდუსტრია ს, კვების სერვისის სექტორის, სანახაობებისა და ატრაქციების სექტორის, ღონისძიებებისა და შეხვედრების ინდუსტრიის, რეკრეაციის, სადისტრიბუციო ქსელები სა და ტუროპერირების პრობლემების აღმოჩენას და შესაბამისი გათვლების საფუძველზე მათი აღმოფხვრისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას;
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას;
- სასტუმრო პროდუქტების დივერსიფიკაციას;
- ტურიზმის/სასტუმრო ინდუსტრიაში ადამიანური რესურსების მართვას, სარესტორნო საქმიანობისა და კვების მომსახურების, ღონისძიებების, შეხვედრების და ფესტივალების ორგანიზებას.

**დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს ექნება:

- მომსახურების სფეროში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრის უნარი;
- ტურიზმის/სასტუმროს საქმეში პროცესების გაანალიზების უნარი;

- ტურიზმის/სასტუმროს მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრის უნარი;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე ტურისტულ/სასტუმრო სფეროში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ტურიზმის სფეროში მოსალოდნელი რისკების შეფასების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი:**

- სასტუმროს/ტურიზმის სფეროში ეფექტური წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხო ენებზე.
- ვერბალური და წერილობითი ფორმით ელექტრონული კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენებზე;
- საკუთარი იდეების დასაბუთებულად გადმოცემის უნარი.
- შეუძლია ბიზნეს პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმოება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.
- შეუძლია პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა.

**სწავლის უნარი:**

- საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება და შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროების განსაზღვრის უნარი.
- ცოდნის გაღრმავების მიზნით სასწავლო რესურსების ეფექტური გამოყენება;
- თანამედროვე ტენდენციების და სიახლეების შესაბამისად ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება. შემდგომი სწავლისა და განვითარების ეტაპების განსაზღვრა.

**ღირებულებები:**

- განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და კულტურის, რელიგიური მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და უმცირესობების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება;
- გენდერული თანასწორობის დაცვა;
- ზეპირი და წერითი ბიზნესკომუნიკაციის ეთიკური ნორმების დაცვა.
- მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის უნარი.
- გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის სფეროში არსებული ყველა კანონის და ეთიკური ნორმის დაცვა და პატივისცემა.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  საბაკალვრო ნაშრომი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში(სილაბუსებში):

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;– დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ– გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე); 3 შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის– დასადგენად; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;– გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად– შეესაბამება დასმულ საკითხს; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის– საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**დემონსტრაციის მეთოდი** - აქტივობის ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს აქტივობა გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ

**დასაქმების სფერო**

სასტუმრო ინდუსტრიაში დასაქმების შესაძლებლობები: სასტუმრო და განთავსების ობიექტები; ტურისტული კომპანიები; რესტორნები და კვების ობიექტები; ტურისტული სანახაობები და ატრაქციები; შეხვედრებისა და ღონისძიებების ინდუსტრია; გასართობი ინდუსტრია; აზარტული თამაშების ინდუსტრია; ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები; ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები; ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნეს კვლევის კომპანიები; ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიები;

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 85**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>									
1	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B 1.1	არ აქვს	6							
2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	არ აქვს	4							

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
3	მათემატიკის საფუძვლები	არ აქვს	5										
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	5										
5	ტურიზმის საფუძვლები	არ აქვს	5										
6	სამკურნალო გამაჯანსაღებელი განთავსების ობიექტები	ტურიზმის საფუძვლები	5										
7	უცხოური ენა (ინგლისური,ფრანგული,გერმანული, რუსული) B1.2	უცხოური ენა(ინგლისურ ი,ფრანგული,გ ერმანული,რუს ული)B 1.1		6									
8	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1		4									
9	მენეჯმენტის საფუძვლები	არ აქვს		5									
10	ტურიზმის ეკონომიკა და მართვა	ტურიზმის საფუძვლები		5									
11	მარკეტინგის საფუძვლები	არ აქვს		5									
12	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	არ აქვს		5									
13	(ინგლისური,ფრანგული,გერმანული, რუსული) B 2.1	უცხოურიენა(ი ნგლისური,ფრ ანგული,გერმან ული,რუსული) B1.2			5								
14	ტურიზმის გეოგრაფია და საერთაშორისო ტურისტული ბაზრები	ტურიზმის საფუძვლები			5								
15	სასტუმრო სერვისის საფუძვლები	ტურიზმის საფუძვლები			5								
16	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები			5								
17	ტურიზმის მარკეტინგი	არ აქვს			5								
18	ტურიზმის სტატისტიკა	არ აქვს			5								
19	უცხოური ენა (ინგლისური,ფრანგული,გერმანული, რუსული)- B2.2	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული,გერ მანული,რუსუ ლი) B 2.1				5							
20	აგროტურიზმი	არ აქვს				5							
21	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები				5							
22	ელექტრონული კომერცია სასტუმრო საქმეში	არ აქვს				5							

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
23	სასტუმროს ინჟინერინგი	ტურიზმის საფუძვლები				5						
24	სასტუმროს ეთიკა და მოლაპარაკების ხელოვნება	არ აქვს				5						
25	პატარა სასტუმროს მართვა	ტურიზმის საფუძვლები					5					
	Small Hotel Operation and Management	ტურიზმის საფუძვლები										
26	სასტუმროს მენეჯმენტი	ტურიზმის საფუძვლები					5					
	Hotel Management	ტურიზმის საფუძვლები										
27	ღონისძიებებისა და შეხვედრების ადმინისტრირება	არ აქვს					5					
	Event Planning and Management	არ აქვს										
28	სარესტორნო საქმიანობა და კვებითი მომსახურება	ტურიზმის საფუძვლები					5					
	Food and Beverage Services	ტურიზმის საფუძვლები										
29	ფრონტ ოფისი/ გლობალური დაჯავშნის სისტემები	ტურიზმის საფუძვლები					5					
	Front Office / Global Distribution Systems	ტურიზმის საფუძვლები										
30	განთავსების მენეჯმენტი	ტურიზმის საფუძვლები					5					
31	სასტუმროს საკანონმდებლო საფუძვლები	არ აქვს					5					
32	საქმიანი ტურიზმი MICE	ტურიზმის საფუძვლები								5		
33	სასტუმროს უსაფრთხოება	არ აქვს								5		
34	სასტუმროს საგადასახადო პოლიტიკა	არ აქვს								5		
35	კვების უსაფრთხოება	არ აქვს								5		
	Food Safety	არ აქვს										
36	რეკლამა და სტიმულირება	მარკეტინგის საფუძვლები										5
37	სასტუმროს ერგონომიკა	არ აქვს										5
38	ახალი ტრენდები სასტუმროსა და ტურიზმის ბიზნესში	ტურიზმის საფუძვლები										5
		ტურიზმის ეკონომიკა და მართვა; ადამიანური										



№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი								
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		
			სემესტრი								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
39	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროში	რესურსების მენეჯმენტი; სასტუმროს მენეჯმენტი; ტურიზმის სტატისტიკა								10	
40	საბაკალავრო ნაშრომი	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროში									10
<b>არჩევითი უცხოური ენები</b>									5	5	
41	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)– B2 + 1	არ აქვს						5			
42	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, რუსული) A 1.1	არ აქვს									
43	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)– B2+ 2	არ აქვს							5		
44	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, რუსული) A 1. 2	არ აქვს									
<b>არჩევითი საგნები</b>											5
45	სასტუმროს ხარისხის მარკეტინგი	არ აქვს									5
46	სათამაშო ბიზნესი	არ აქვს									
47	ეკოტურიზმი	არ აქვს									
<b>თავისუფალი კომპონენტები</b>									10	5	
48	რელიგიების ისტორია	არ აქვს						5			
49	შრომის უსაფრთხოება	არ აქვს									
50	კულტურა და თანამედროვეობა	არ აქვს									
51	ქვეყანათმცოდნეობა										
52	ფსიქოლოგია ქართულ ფოლკლორში	არ აქვს									
53	ზოგადი ფსიქოლოგია	არ აქვს									
54	მიმდინარე დისკურსი მოდერნიზმის ირგვლივ	არ აქვს						5			
55	სამეწარმეო აზროვნება	არ აქვს									
56	ფერთამცოდნეობა	არ აქვს									
57	გამწვანება და დეკორი	არ აქვს									
<b>სემესტრში</b>			30	30	30	30	30	30	30	30	30
<b>წელიწადში</b>			60		60		60		60		

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	/საათი ECTS კრედიტი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH19212G1-P	უცხოური ენა (ინგლისური)-B 1.1	6/150			60				1	1	88
	LEH18612G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B 1.1	6/150			60				1	1	88
	LEH18812G1-P	უცხოური ენა(გერმანული) –B 1.1	6/150			60				1	1	88
	LEH19012G1-P	უცხოური ენა (რუსული) - B 1.1	6/150			60				1	1	88
2	ICT15008G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	4/100	15			15			1	1	68
3	MAS32908G1-LP	მათემატიკის საფუძვლები	5/125	15	30					1	2	77
4	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30					1	1	78
5	PES11713G1-LS	ტურიზმის საფუძვლები	5/125	15	30					1	2	77
6	PES10613G1-LS	სამკურნალო გამაჯანსაღებელი განთავსების ობიექტები	5/125	15	30					1	1	78
7	LEH19312G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2	6/150			60				1	1	88
	LEH18712G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	6/150			60				1	1	88
	LEH18912G1-P	უცხოური ენა (გერმანული) - B1.2	6/150			60				1	1	88
	LEH19112G1-P	უცხოური ენა (რუსული) - B1.2	6/150			60				1	1	88
8	ICT15108G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2	4/100	15			15			1	1	68
9	BUA34313G1-LS	მენეჯმენტის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
10	PES10713G1-LS	ტურიზმის ეკონომიკა და მართვა	5/125	15	30					2	2	76
11	BUA50813G1-LS	მარკეტინგის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
12	BUA10513G1-LSP	საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები	5/125	15	16	14				1	1	78
13	LEH10412G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B 2.1	5/125			45				1	1	78
	LEH10812G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) - B 2.1	5/125			45				1	1	78
	LEH11212G1	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.1	5/125			45				1	1	78



31	PES12313G1-LS	სასტუმროს საკანონმდებლო საფუძვლები	5/125	15	30					1	2	77
32	PES12413G1-LS	საქმიანი ტურიზმი MICE	5/125	15	30					1	1	78
33	PES12513G1-LS	სასტუმროს უსაფრთხოება	5/125	15	30					1	1	78
34	PES12613G1-LS	სასტუმროს საგადასახადო პოლიტიკა	5/125	15	30					1	2	77
35	PES12713G1-LSK	კვების უსაფრთხოება	5/125	15	30					1	3	76
	PES15513E1-LSK	Food Safety	5/125	15	30					1	3	76
36	BUA51413G1-LS	რეკლამა და სტიმულირება	5/125	15	30					1	1	78
37	PES12813G1-LS	სასტუმროს ერგონომიკა	5/125	15	30					1	2	77
38	PES12913G1-LS	ახალი ტრენდები სასტუმროსა და ტურიზმის ბიზნესში	5/125	15	30					1	1	78
39	PES12213G1-R	საწარმოო პრაქტიკა სასტუმროში	10/250			15	30			1	1	203
40	PES15613G1-K	საბაკალავრო ნაშრომი	10/250					60			0.5	189.5
41	LEH12312G2-P	უცხოური ენა(ინგლისური) – B2 + 1	5/125			45				1	1	78
	LEH12512G2-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B2 + 1	5/125			45				1	1	78
	LEH12912G2-P	უცხოური ენა (გერმანული) – B2 + 1	5/125			45				1	1	78
	LEH12712G2-P	უცხოური ენა (რუსული) – B2 + 1	5/125			45				1	1	78
42	LEH13012G2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – A1.1	5/125			45				1	1	78
	LEH13812G2-P	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1	5/125			45				1	1	78
	LEH14212G2-P	უცხოური ენა (რუსული) –A 1.1	5/125			45				1	1	78
43	LEH12812G2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2+ 2	5/125			45				1	1	78
	LEH12612G2-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B2+ 2	5/125			45				1	1	78
	LEH12212G2-P	უცხოური ენა (გერმანული) – B2+ 2	5/125			45				1	1	78
	LEH12812G2-P	უცხოური ენა (რუსული) – B2+ 2	5/125			45				1	1	78
44	LEH13112G2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – A1.2	5/125			45				1	1	78
	LEH13912G2-P	უცხოური ენა (ფრანგული) –A 1. 2	5/125			45				1	1	78
	LEH14212G2-P	უცხოური ენა (რუსული) –A 1. 2	5/125			45				1	1	78
45	PES13113G1-LS	სასტუმროს ხარისხის მარკეტინგი	5/125	15	30					1	2	77
46	PES13013G1-	სათამაშო ბიზნესი	5/125	15	30					1	1	78

